

ნარკოტიკული და სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის აუცილებლობა

ჯემალ გახოქიძე*

2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულმა ტერორისტული აქტების სერიამ მსოფლიო შეძრა. სახელმწიფოებმა ეს ტერორისტული აქტები ერთხმად მიიჩნია XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე თავხედურ გამოწვევად, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის სტაბილურობის წინააღმდეგ.

ამ მოვლენების ფონზე ბუნებრივად დაისვა კითხვა, ადექვატურია თუ არა დღემდე შექმნილი მექანიზმები ტერორიზმისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის?

საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა. სახელმწიფოების უმრავლესობამ აუცილებლად ჩათვალა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რამაც ასახვა ჰპოვა ავღანეთში განხორციელებულ ანტიტერორისტულ კამპანიაში. ამ კამპანიის მიზანია საბოლოოდ აღმოიფხვრას ავღანეთის ტერიტორიაზე არა მარტო ტერორიზმი, არამედ ნარკოტიკების წარმოება და არალეგალური ექსპორტირება თითქმის ყველა სახელმწიფოში.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის საფრთხე, რომელიც ემუქრება სახელმწიფოებს ავღანეთის ტერიტორიიდან ნარკოტიკების გავრცელებით. ექსპერტების აზრით, დღეს ავღანეთში გადამალულია რამდენიმე ათასი ტონა ოპიუმის მარაგი და ამჟამინდელი, მათთვის არასახარბიელო სიტუაციის გამო, ოპიუმის მფლობელები შეეცდებიან სწრაფად მოახდინონ მისი რეალიზაცია საერთაშორისო ბაზარზე. ეს, ერთი მხრივ, ნარკოსაქმოსნებს გაათავისუფლებს „არასასურველი“ მარაგისაგან და მეორე მხრივ, გააჩენს უზარმაზარი ოდენობის სახსრებს ნაღდი ფულის სახით, რაც აუცილებელია „ალ-ქაიდას“ სინდიკატი-სათვის ტერორისტული აქტების განსახორციელებლად.

თავისი საშიშროებით, ნარკოტერორიზმი არც ერთი ტერორისტული ხასიათის დანაშაულს არ ჩამოუვარდება. უფრო მეტიც, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნარკოტიკული ტერორიზმი პირდაპირ ემუქრება ერის გენოფონდს, ანადგურებს ადამიანთა ფსიქიკას და რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოგრაფიულ პოტენციალს.

ასეთ ვითარებაში ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ნარკოსინდიკატები და ტერორისტული ორგანიზაციები კიდევ უფრო განამტკიცებენ თანამშრომლობას. ნარკოტიკების არსებული მარაგის რეალიზაციას,¹ ალბათ, სულ ცოტა ორი-სამი წელი დასჭირდება და ეს პერიოდი განსაკუთრებით საშიში იქნება მსოფლიოსათვის. იმ 24 ორგანიზაციიდან, რომელიც აშშ-ს მთავრობამ ტერორისტულად გამოაცხადა, 12 ორგანიზაციას კავშირი აქვს ნარკოტიკული ნივთიერებების საერთაშორისო გადაზიდვასთან.² ასეთ ვითარებაში გადაჭარბებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ მსოფლიოს გაუჩნდა ახალი საფრთხე ნარკოტერორიზმის სახით.

* ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

¹ დაახლოებით 10 ათასი ტონა ოპიუმი მარტო ავღანეთში, რასაც დაემატება დაახლოებით 3000 ტონა ასეთივე ნარკოტიკი, თუ არ განადგურდა დღეისათვის იქ არსებული ნათესები.

² იხ. ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერტსონის 2002 წლის 17 აპრილს ათენში საერთაშორისო კონფერენციაზე „ახალი უსაფრთხოების ქსელი XXI საუკუნისათვის“ გამოსვლის ტექსტი, კონფერენციის მასალა.

სტატიები

ნარკოტერორიზმის საფრთხე საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ორ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოშობს:

ა) ნარკოტიკების ასეთი მარაგის გავრცელება უდიდეს საფრთხეს უქმნის მსოფლიოს, განსაკუთრებით მის მომავალს, რაც XXI საუკუნის მსოფლიოს განვითარების პერსპექტივაზე პირდაპირ გავლენას ახდენს;

ბ) ასეთი მასშტაბით ნარკოტიკების რეალიზაცია შექმნის ნაღდი ფულის უდიდეს რეზერვს, რაც იქნება ტერორიზმის დაფინანსების ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ძირითადი და ხანგრძლივი წყარო.

მიუხედავად იმ ანტიტერორისტული კამპანიისა, რომელიც ხორციელდება ავღანეთში, სავარაუდოა, რომ იგი საკმარისი არ იქნება ტერორიზმის, მათ შორის ნარკოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური პრობლემის მოსაგვარებლად. აშკარაა იმის აუცილებლობა, რომ ამ ბრძოლამ მიიღოს ანტინარკოტერორისტული კამპანიის ხასიათი და სახელმწიფოთა კოალიციამ ერთდროულად გამოუცხადოს ბრძოლა როგორც ტერორიზმს, ისე ნარკოტიზმს. მით უმეტეს, რომ ამის აუცილებლობა წარმოშვა მსოფლიოსათვის ერთმა მეტად საშიშმა მოვლენამ, კერძოდ კი იმან, რომ როგორც ტერორიზმის, ისე ნარკოტიზმის ორგანიზება ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოებრივ დონეზეც კი ხორციელდება.

როგორც ევროპის კონტინენტის, ისე ანგლო-ამერიკული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული ტერორიზმისათვის. უცნობია ასეთი დანაშაული საერთაშორისო სისხლის სამართლისათვისაც, ანუ ამ უმძიმეს დანაშაულის მიმართ არ არის შემუშავებული სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიტიკა. ამასთან, სახელმწიფოთა უმრავლესობის სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს პასუხისმგებლობას ტექნოლოგიური ტერორიზმის ისეთი სახეებისათვის, როგორცაა ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, ბიოლოგიური და რადიაციული ნივთიერებების გამოყენება.

ნარკოტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის აუცილებელია დაიხვეწოს სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რათა ადეკვატური ღონისძიებები გატარდეს ამ საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ. მიზანშეწონილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ახალი მუხლი ნარკოტიკული ტერორიზმისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. უფრო მეტიც, იგი უნდა შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავში, რომელიც აწესრიგებს პასუხისმგებლობას დანაშაულისათვის კაცობრიობის წინააღმდეგ, რითაც ასეთ დანაშაულს საერთაშორისო დანაშაულის კატეგორიას მივაკუთვნებთ.

ამ მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„ნარკოტიკული ტერორიზმი, ესე იგი დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებების მასობრივი გავრცელება ამა თუ იმ სახელმწიფოს ან მის რომელიმე ნაწილში, რაც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ასეთივე მოქმედება, მიმართული რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად“.

რაც შეეხება სანქციებს ასეთი დანაშაულისათვის, სადავო არ უნდა იყოს, რომ უნდა დაწესდეს სახელმწიფოში არსებული სასჯელის უმაღლესი ზომა. საქართველოს შემთხვევაში, ამ სანქციის გათანაბრება შეიძლება ისეთი დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელის ზომებთან, როგორცაა ტერორიზმი, გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმედან გამომდინარე, ნარკოტიკული ტერორიზმისათვის უნდა დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან ოც წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთა.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი წინადადება განხილულ იქნას გაეროს ანტიტერორისტული კომიტეტის მიერ მისი სათანადო

სტატიები

განსჯისა და განზოგადების მიზნით, რათა ნარკოტიკული ტერორიზმი საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნოს.

რაც შეეხება სახელმწიფო ტერორიზმს, ეჭვგარეშეა, რომ იგი დღეს არსებობს ყველა თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი ნიშნით. ამის დასტურად გამოდგება ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“ და ავღანეთის სახელმწიფო. ტერორიზმის სახელმწიფო რანგში აყვანა რომ არა, საერთაშორისო თანამეგობრობა აიცდენდა ბალკანეთის ხალხთა სისხლიან ტრაგედიას. უფრო მეტიც, არსებობს მტკიცებულებანი, რომ „ალ-ქაიდასა“ და მის ორგანიზატორებს ჩაფიქრებული ჰქონდათ ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა თვით თათარსტანის ჩათვლით და ამ მიზნით საომარი აქციებიც კი იგეგმებოდა. მათი გეგმები ჩაშალა ავღანეთში განხორციელებულმა ანტიტერორისტულმა კამპანიამ. სახელმწიფო ტერორიზმი ტერორიზმის ყველაზე საშიშ ფორმას წარმოადგენს. პრეზიდენტ ბუშის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, სახელმწიფო ტერორიზმი „ესწრაფვის ტერორიზმისა და ტერორისტული იდეოლოგიის გაბატონებას მსოფლიოში“.³

სახელმწიფო ტერორიზმიდან სამხედრო აგრესიამდე ერთი ნაბიჯია. სამწუხაროდ, სახელმწიფო ტერორიზმს მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის ლექსიკონები იცნობენ. რაც შეეხება მსოფლიო ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობას, სახელმწიფო ტერორიზმის შემადგენლობას ისინი არ იცნობენ. იგი ცალკე დანაშაულად არ შედის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამონათვალში.

რაც შეეხება საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიას, აქაც თვლიან, რომ „პოლიტიკური დახასიათება ამა თუ იმ მოქმედებისა ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა იმავე მოქმედების იურიდიულ კვალიფიკაციას. პოლიტიკას შეიძლება უწოდო დანაშაულებრივი, ტერორისტული, მაგრამ ეს არ არის საფუძველი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ფორმულირებისათვის [...]. თუ ესა თუ ის მოქმედება არ განიხილება კანონში ან ხელშეკრულებაში როგორც ტერორიზმი, გვრჩება მათი მხოლოდ პოლიტიკური დახასიათება, მაგრამ არ იქნება დანაშაულის შემადგენლობა, რისთვისაც უნდა დანესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“.⁴

ძნელია ამ შეხედულების გაზიარება, განსაკუთრებით უახლოესი წარსულის მოვლენების გათვალისწინებით. აუცილებელია, რომ როგორც სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ, ისე საერთაშორისო სისხლის სამართალმა აღიაროს სახელმწიფო ტერორიზმი დანაშაულად.

სისხლის სამართლის კოდექსში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსის მუხლი:

„სახელმწიფო ტერორიზმი, ესე იგი, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო დონეზე ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ასეთივე ორგანიზაციაში მონაწილეობა, აგრეთვე, ასეთი მოქმედებებისათვის საინფორმაციო საშუალებებით ან სხვა ფორმით საქვეყნო მონოდება, მიუხედავად იმისა, მიმათულია იგი საკუთარი თუ უცხო ქვეყნის წინააღმდეგ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთით“.

2001 წლის 11 სექტემბერი ისტორიაში შევიდა, როგორც ტერორიზმის ბარბაროსული გამოვლენა, მაგრამ ეს თარიღი მხოლოდ ამის გამო არ უნდა გახდეს ღირშესანიშნავი. იგი ასევე უნდა შევიდეს კაცობრიობის ისტორიაში, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის დასასრულის დასაწყისი.

³ New York Times, 11 October, 2001.

⁴ *Кудрявцев*, Международное уголовное право, Москва, 1999, 140-141; უფრო დეტალურად, იხ. *Murphy*, Punishing International Terrorists, 1985.